





პასუხისმგებელი რედაქტორი შ ა ლ ვ ა მ ა თ ი კ ა შ ვ ი ლ ი

სარედაქციო კოლეგია

- ი. ტალახაძე
- თ. ღოღიაძე
- ბ. ბერაძე
- პროფ. შ. ნუცუბიძე
- კონს. მიქელაძე
- მვლ. ენუქიძე

## სასამართლო ორგანოები და თესვის კამპანიის ამო- ცანები.

გაზაფხულის თესვის კამპანიის წარმატებით დამთავრება და საშემოდგომო თესვისათვის მზადება უდიდესი აქტუალური მნიშვნელობის თემაა ჩვენი სამეურნეო და სასურსათო ხასიათის სიძნელების დასაძლევათ. სოციალისტური აღმშენებლობის ძლევამოსილი გაშლა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე და საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა თვისობრივ-რაოდენობითი ზრდა—ერთგვარ დამოკიდებულებაშია სათესი სივრცის მაქსიმალურ გამოყენებასთან და მოსავლიანობის პროდუქტიულობასთან.


საკავშირო ცაკის დირექტივა მოსავლიანობის გადიდებისა და თესვის კამპანიაში ფართო პროლეტარულ მასების მობილიზაციის შესახებ გადაუდებელ ამოცანათ აყენებს ჩვენს წინაშე, რათა დროული და სათანადო ინციატივა გამოვიჩინოთ, არა მარტო სათესი სივრცეების მთლიანად გამოყენების საქმეში და სასოფლო მეურნეობის აგრი-კულტურულ გაუმჯობესებელი მეთოდებით დამუშავებაში, არამედ მთელი ეს მუშაობა წარმართული უნდა იქნეს მეურნეობის სოციალისტური სექტორის შემდგომი განვითარება-განმტკიცების გზით.

ამხ. მ. კალინინი ეხება რა თესვის კამპანიის ამოცანებს შემდეგ გარემოებას მიუთითებს: „მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა აპარატი მტკიცედ იდგომება რევოლიუციონური კანონიერების სადარაჯოზე, იგი შესძლებს აღუძრას ინდივიდუალურ მეურნეთა მასებს სურვილი—სავსებით გამოიყენონ ის სარგებელი, რომელხაც აძლევენ მათ ხოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში ცაკის უკანასკნელი სესიის გადაწყვეტილებანი, ახალი კანონი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ და საბჭოთა მთავრობის მიერ უკანასკნელ დროს მიღებული სხვა გადაწყვეტილებანი“. (კურსივი ჩვენია).

აქედან ცხადია, თუ რა უდიდესი ამოცანა სდგას საერთოდ იუსტიციის ორგანოების და კერძოდ სასამართლო და პროკურატურის მუშაკების წინაშე, რომლებიც უპირველესათ ყოვლისა მოწოდებულნი არიან რევოლიუციონური კანონიერების განხორციელებისათვის.

კონკრეტულათ რაში უნდა გამოიხატოს სასამართლო ორგანოების ინციატივა, რომ საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა გვერდით, ერთგვარი დამაინტერესებელი იმპულსი ქონდეთ სოფლის ინდივიდუალურ მეურნეთ—(ღარობ და საშვალო გლეხობის მასას) თესვის კამპანიაში აქტიურათ ჩაბმისა და სათესი სივრცისა და მოსავლიანობის გაზრდის?

იმისათვის, რომ ცენტრალურ ხელისუფლების დირექტივები სავსებით და მთლიანად იქნეს განხორციელებული თესვის კამპანიის შესახებ და აგრეთვე გადაუდებელი და სისტემატიური მზადება ვაწარმოოთ საშემოდგომო თესვის მოლოდინში, საჭიროა სასამართლო ორგანოები ეხლავე შეუდგენ:



1. ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის პოპულიარიზაციას სოფლის მოსახლეობის მასებში.

2. დეტალურათ და ხაზგასმით უნდა აღნიშნონ ის შედეგები და სარგებლობა რასაც საბჭოთა ხელისუფლება აძლევს სოფლის მეურნეთ აგრეთვე ტურულ გაუმჯობესებისა და ნათესი სივრცის გაზრდის საქმეში.

3. თვალყური ადევნონ სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების რაციონალურ გამოყენების საქმეს და აგრეთვე გადამჭრელი რეპრესიული ზომები მიიღონ იმ კერძო კაპიტალისტურ ტენდენციის გამტარებელ ელემენტების (კულაკებს) წინააღმდეგ, რომლებიც შეცდებიან ისარგებლონ და აშკარა ექსპლოატაციას (მეფავნეობის სოფლური ფორმა) გაუწყვენ სხვადასხვა სამუშაო იარაღების, მუშა საქონლის და სათესლე მარცვლეულობის სარგებლობისათვის ღარიბ გლეხობას.

4. ყურადღება მიაქციონ იმ გარემოებას, თუ რამდენათ დროულათ და კანონიერ ფორმაში ნაწილდება ცენტრიდან მოწოდებული საშვალებანი ან ადგილი ხომ არაქვს საქმის ბიუროკრატიულ გაჭიანურებას ან უყურადღებო დამოკიდებულებას ღარიბ და საშუალო გლეხობის მოთხოვნილებებისადმი.

ამ ღონისძიებათა სათანადო განხორციელებას პარტიულ და საბჭოთა-დირექტივის გზით უაღრესი აქტუალური მნიშვნელობა ეძლევა იმ გარემოებითაც, რომ ამით წამატებით დავაჩქარებთ სასურსათო ხასიათის სიძნელების ლიკვიდაციას და სავსებით უზრუნველყოფთ დასახულ ამოცანების განხორციელებას. სასამართლო ორგანოების მხრივ სწორ კლასიურ პოლიტიკის გამახვილებას აღნიშნულ თესვის კამპანიის ჩატარებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

**ა. კალანდაძე (ქ. გორი)**

**პროკურორისა და სახ. ბაგოძიძეშვილთა უწყისების შესახებ\*)**

„გლეხის მეურნეობის ზრდის დაჩქარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რევოლიუციონურ კანონიერებას, თუ ჩვენ არ გვექნება რევოლიუციონური კანონიერება, თუ მტკიცედ და შეუწყველათ არ გავატარებთ მოსახლეობისათვის წინადაწინვე ცნობილ ნორმებს, ჩვენ, რასაკვირველია, ვერ შევძლებთ გლეხების მეურნეობის ზრდის დაჩქარებას. რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცებას მოითხოვს ჩვენი სამეურნეო აუცილებლობა“.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმში.

როგორც ჩატარებულ რევიზიის მასალებიდან ირკვევა, მაზრებში მომუშავე პროკურორები იმდენათ დატვირთული არიან რომ ისინი სანახევროთაც ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. მათი მუშაობა სუსტია, როგორც

\*) მიუხედავად იმისა, რომ ამ. ა. კალანდაძის წერილში მუქი ფერებით არის წარმოდგენილი მაზრებში მომუშავე პროკურორების საქმიანობა, ჩვენ ავტორს მაინც ვაძლევთ საშუალებას გამოსთქვას თავის აზრი სისხ. სამ. პროცესის გამარტივების შესახებ—იუსტიციის მუშაკთა შორის თვითკრიტიკის გაღრმავების ნიადაგზე.

**რედაქცია.**

სასამართლო — საგამომძიებლო დარგში, ისე საერთო ზედამხედველობის დარგში-  
დაც. ეს გარემოება აიხსნება მით, რომ მაზრებში მომუშავე ამხანაგები ფიზიკურად  
მოკლებულნი არიან საშვალებას შეასრულონ ყველა ის მოვალეობანი, რომლებიც  
ჩვენი კანონმდებლობით და ხელისუფლების მიერ მათ აქვთ დაკისრებული.

პროკურორები იშვიათად ესწრებიან სახ. სასამართლოების გამაწესრიგე-  
ბელ და საჯარო სხდომებს. იშვიათად იწერება აგრეთვე პროტესტები მათ გა-  
ნაჩენებზე და დადგენილებებზე. არ გადაუთვალეირებიათ ზედამხედველობის წე-  
სით განხილული საქმეები მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ, მიუხედავად იმისა,  
რომ მათ ამის შესახებ აქვთ კატეგორიული დავალება ი. ს. კ.-საგან (ცირკუ-  
ლიარებისა და სხვა სახით). აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კახეთის მაზ-  
რაში რევიზიამ გადაათვალეირა სახ. სასამართლოებში განხილული საქმეები  
მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ, სადაც აღმოჩნდა, რომ მათგან 90% არ არის  
სწორათ განხილული და დარღვეულია მიწის კანონი. ასეთივე მდგომარეობაშია  
შრომის საქმეებიც. პროკურორები ვერ უწევენ საჭირო ხელმძღვანელობას მომ-  
კვლევ და საგამომძიებლო ორგანოებს, თემ-საბჭოებს, მათზე გადაცემული სატ-  
ყეო და წანახედის საქმეები უმოძრაოთ აწყვია. არ არის ხელმძღვანელობა და  
ზედამხედველობა არც სხვა საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე. არ  
სწარმოებს გეგმიანი მუშაობა. არ არის შექმნილი საზოგადო ბრალმდებელთა  
კადრი. არ არსებობს თვით-განვითარების იურიდიული წრეები. არ არის ხელ-  
მძღვანელობა იურიდიულ დახმარების ბუროებზე. არ არის კავშირი მუშკორ  
გლეხკორთა ორგანიზაციებთან. სუსტად ტარდება თათბირები და მოხსენებები  
დანაშაულთან წინასწარ ბრძოლის მიზნით, მოხსენებები რევოლიუციონური კა-  
ნონიერების შესახებ და სხვა. (კახეთი, გორი).

ბუნებრივად დაისმის საკითხი: თუ ეს ასეა, მაშ რას აკეთებს მაზრის პრო-  
კურორი? მთელი მისი მუშაობა უნდება და განისაზღვრება უმთავრესათ იმით  
რომ: 1. ლებულობს საჩივრებსა და განცხადებებს მოქალაქეებისაგან, რომლებსაც  
წარმართავს მოკვლევა თუ გამოძიებისათვის. 2. ლებულობს საგამომძიებლო ორ-  
განოებისაგან გამოძიებით დამთავრებულ საქმეებს და წარმართავს მათ კუთვნი-  
ლებისამებრ სასამართლოებში ს. ს. ს. კოდ. 228—229 მმ. მიხედვით. 3. იხი-  
ლავს მომკვლევ ორგანოებისაგან გადმოგზავნილ საქმეებს ს. ს. ს. კოდ. 105 მ.  
მიხედვით. 4. ლებულობს მონაწილეობას მაზრის სახ. სასამართლოს საჯარო  
სხდომებზე, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. 5. ესწრება სამ-აღმასკომის  
სხდომებს. 6. ასრულებს ადგილობრივი ორგანიზაციების დავალებებს და მრავალ  
შემთხვევითი სამუშაოებს, რომლებთაც არ აქვთ სისტემატიური და გეგმი-  
ანი ხასიათი.

აქედან ჩანს, რომ არ შეიძლება ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელ-  
დეს, საჭიროა რაიმე გამოსავალი ვნახოთ და ასეთი კი არის.

ცხადია არ შეიძლება დაისვას საკითხი მაზრებში ორი პროკურორის შტა-  
ტის შესახებ, მიუხედავად საჭიროებისა, ვინაიდან, ამის რესურსები ჩვენ არა  
გვაქვს, და ბოლოს არც ორი პროკურორის ყოლა სჭრის საკითხს. ჩვენ გვყავს  
ორორი პროკურორები კახეთისა და გორის მაზრებში, მაგრამ სწორეთ ამ მაზ-  
რებში აღმოჩნდა ჩვენი სუსტი მუშაობა აქ საჭიროა მხოლოდ გეგმიანი მუშაო-

ბა და იუხტიციის მუშაკთა რაციონალურათ გამოყენება ყოველგვარი ზედმეტი ხარჯების გარეშე, კანონმდებლობისა და კერძოთ სისხ. სამ. საპ. კოდექსის სათანადო შეცვლით.

რევიზიით გამოირკვა, რომ კახეთის მაზრაში სახ. გამომძიებლები არ არიან საქმეებით დატვირთულნი, თითოეულ მათგანს წარმოებაში აღმოაჩნდათ 25—30 საქმე. ეს რიცხვი დიდი არ არის. თვითურათ გამომძიებით ამთავრებენ 12 საქმეს. გამომძიებელი თვითურათ საშუალოთ უნდა ამთავრებდეს 20 საქმეს მაინც.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაში უნდა იყოს სხვა მაზრებშიდაც. მეორეს მხრივ სახ. გამომძიებლების დიდი უმრავლესობა იურიდიულათ საკმაოდ მომზადებული პირები არიან. რატომ არ შეიძლება მათი გამოყენება პროკურატურისათვის დასახმარებლათ, როცა მათ თავისუფალი დრო აქვთ? მიზანშეწონილი და შესაძლებელიც არის სახ-გამომძიებლებს დაევალოთ: 1. ზედამხედველობა თავის სამოქმედო რაიონში მომკვლევ ორგანოებზე და კერძოთ მილიციაზე, მათთან სისტემატიური შეკადინეობის წარმოება და საერთოდ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლაში ხელმძღვანელობა. 2. გაუწიონ დახმარება თემსაბჭოებს კანონის განმარტებით, კერძოთ მათზე გადაცემულ სატყეო და წანახედის საქმეების განხილვაში, სვალდებულო დადგენილებათა პროექტების შედგენაში და სხვა იურიდიულ საკითხებში. 3. გაუწიონ ხელმძღვანელობა საზოგადო ბრალმდებელთა კადრს, იურიდიულ დახმარების ბიუროებს და თვითგანვითარების იურიდიულ წრეებს, გააკეთონ მოხსენებები რევოლიუციონური კანონიერების შესახებ და სხვა. 4. შესაძლებელია აგრეთვე გამომძიებელმა მიიღოს მონაწილეობა სახ-სასამართლოებში საქმეებზე, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელმა. 5. გაუწიონ ზედამხედველობა თავის სამოქმედო რაიონში სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს. 6. თვალყური ადევნონ პრესაში მოთავსებულ ცნობებს, რომლითაც მუშეკორ-გლეხკორთა ორგანიზაციები ამხელენ დანაშაულობრივ ქმედობებს და სხვა. ცხადია, ყოველივე ეს უნდა ხდებოდეს მაზრის პროკურორთან შეთანხმებით და მისი უშუალო ხელმძღვანელობით და პასუხისმგებლობით. ამით ერთის მხრივ მოსახლეობის თვალში აიწვევს სახ-გამომძიებლის ავტორიტეტი, რაიც ესოდენ აუცილებელია და მეორეს მხრივ პროკურორი შესძლებს მასზე დაკისრებულ მძიმე და ფრიათ საპასუხისმგებლო მოვალეობის პირნათლად შესრულებას. ამით ჩვენ განვამტკიცებთ რევოლიუციონურ კანონიერებას. ეს უნდა მივიღოთ მხედველობაში პროცესის განმარტივების დროსაც.

## კიდევ კვალიფიციური კონტრაბანდის შესახებ \*).

ს. ს. კ. 58<sup>24</sup> მუხლის დანართის „ზ“ პუნქტის უკანასკნელი ნაწილი ითვალისწინებს წინასწარი შეცნობით კონტრაბანდული საქონლის შენახვას ან ვაჭრობას ხელობის სახით.

აქ მხედველობაშია მიღებული ის პიროვნება, რომელსაც თუმცა საქონლის კონტრაბანდულად გატან-შემოტანა უშუალოდ არ უწარმოებია, მაგრამ ხელს უწყობს კონტრაბანდულ მოქმედებას იმით, რომ ინახავს, ან ავრცელებს გაყიდვის საშუალებით კონტრაბანდულად შემოტანილ საქონელს და ასეთს მოქმედებას ხელობის სახით ეწევა.

კონტრაბანდისათვის ხელის შეწყობა იმ საქონლის შენახვითა და გავრცელებით, რაც საბაჟოს წესდების დარღვევითაა შემოტანილი, არა ნაკლებ საშიშ მოქმედებას წარმოადგენს, ვიდრე თვით საქონლის კონტრაბანდულად შემოტანა, ამ მხრივ შესაძლოა ითქვას, რომ ხშირად კონტრაბანდულ მოქმედებას არ ექნებოდა ადგილი, რომ კონტრაბანდისტს არ ჰქონდეს შესაძლებლობა მის მიერ უკანონოდ შემოტანილ საქონლის გასხვისებისა სწორეთ იმ პირების საშუალებით, რომელთაც საზღვარი არ გადაულახავთ, საქონელი უშუალოდ არ შემოუტანიათ, მაგრამ ადგილობრივად „ანაწილებენ“ უკვე შემოტანილ საქონელს და ამით სოციალურად საშიშ პიროვნებათა ჯგუფს წარმოადგენენ.—ამიტომ ადგილი გასაგებია, რომ კანონმა კონტრაბანდული საქონლის უშუალოდ შემომტანთან ერთად დანაშაულის ჩამდენ პიროვნებად აღიარა ის პირიც, რომელიც ხელს უწყობს კონტრაბანდას ისეთი მოქმედებით, როგორცაა კონტრაბანდული საქონლის შენახვა, ან გაყიდვა ხელობის სახით.

ამ რიგად წინააღმდეგ იმ პრაქტიკისა, რომელსაც ზოგიერთი სასამართლოები პროვინციაში ატარებენ, უდაოთ უნდა იქნეს მიჩნეული, რომ 58<sup>24</sup> მუხლის დანართის „ზ“ პუნქტის უკანასკნელ ნაწილში ნაგულისხმევია არა საქონლის უშუალოდ შემომტანი საბაჟო დაწესებულებების გარეშე, რომლის მოქმედების კვალიფიკაციისათვის გაყიდვის, ან სხვა რამ მიზანს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, არამედ ასეთი საქონლის შემნახველი და გამსაღებელი, რომელმაც იცის, რომ მის მიერ შენახული და გაყიდული საქონელი შემოტანილია კონტრაბანდული წესით.

როგორც ეს კანონის ტექსტიდან გამომდინარეობს, კონტრაბანდული საქონლის გაყიდვა და შენახვა უნდა ხდებოდეს ხელობის სახით. აქ იბადება საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის ხელობა ამ დანაშაულის შინაარსში, როგორია მისი ნიშნები?

დანაშაულის ჩადენა ხელობის სახით 58<sup>24</sup> მუხლის დანართის „ზ“ პუნქტის გარდა ვათვალისწინებულისა ს. ს. კ. კერძო ნაწილის სხვადასხვა მუხლებში; ასეთია გასაღება, ან გაკეთება ხელობის სახით ყალბი ლითონის ფულისა (58<sup>22</sup> მ.), ხელობის სახით ისეთი პროდუქტების დამზადება, შენახვა და შესყიდვა, რომელთა შესახებაც არსებობს სპეციალური აკრძალვა ან შეზღუდვა.—(108—მ.),

\*) იხ. „საბჭოთა სამართალი“ № 3, 1929 წ.



კოკაინის ან ოპიუმის შენახვა ხელობის სახით (110—მ. მე-2—ნაწ.), მევახშეობა (192—მ. მე-2—ნაწ.), ნაქურდალის შესყიდვა (179—მ. მე-2—ნაწ.) და სხვ.

ხსენებულ მუხლების შინაარსის განხილვა ცხად-ჰყოფს, რომ ზოგ მათგანში ქმედობის ჩადენა ხელობის სახით დანაშაულის შედგენილობის განუყრელი ნაწილია, ზოგში კი ეს მომენტი დანაშაულის შედგენილობასთან არაა დაკავშირებული და მხოლოდ პასუხისმგებლობის გამართულებელ გარემოებას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ არც მოყვანილ მუხლებში, და არც ს. ს. კოდექსის ზოგად ნაწილში ჩვენ ვერ ვპოვებთ იმის განმარტებას, თუ რა არის ხელობა კანონის თვალსაზრისით, როგორია მისი კონკრეტული შინაარსი.

მაგრამ როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს პროფ. გროდზინსკი (იხ. მისი Профессиональная преступность и Уг. Код.), ამ ცნების განმარტება სიძნელეს არ წარმოადგენს, და ხელობა მოცემულ შემთხვევაში უნდა იქნეს გაგებული ამ სიტყვის საერთოდ მიღებული შინაარსის მიხედვით.

გროდზინსკის თვალსაზრისით ხელობა არის პროფესია, წინადადება „ხელობის სახით“ იმას ნიშნავს, რომ დამნაშავე ეწევა ამა თუ იმ მოქმედებას ხანგრძლივად და მრავალჯერ და ამ მოქმედებით თავის არსებობისათვის ძირითად ან დამატებითი სახსარს პოულობს, ეს არის პროფესიონალური მოღვაწეობა ამა თუ იმ დარგში; სწორედ ასეთ პიროვნებას ითვალისწინებდა 1922 წლის ს. ს. კ. 25 მუხლის „ე“ პუნქტი, რომელიც არჩევდა სასჯელის განსაზღვრის დროს ჩადენილია დანაშაული პროფესიონალური დამნაშავეს, თუ რეციდივისტის მიერ.

1928 წლის სის. სამ. კოდექსი (44 მუხ.) სოციალური დაცვის ღონისძიების გაძლიერების ასეთს საფუძველს არ ითვალისწინებს და საერთოდ ზოგად ნაწილში კოდექსი ასეთ ტერმინს არ ხმარობს, მაგრამ, რამდენადაც სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სხვადასხვა მუხლებში გათვალისწინებულია დანაშაულის ჩადენა ხელობის სახით, ჩვენ ამ ცნებაში საერთო შინაარსი უნდა მოვაქციოთ და ვაღიაროთ, რომ როგორც საერთო დებულება დანაშაულის ჩადენა ხელობის სახით არის დანაშაულობრივი ქმედობის სისტემატიური ჩადენა, ამასთან, როგორც ამას მიუთითებს პროფესორი გროდზინსკი, საჭირო არ არის, რომ პირველად ჩადენილ დანაშაულის შესახებ სასამართლოს განაჩენი არსებობდეს, საქმის ვადამწყვეტ მომენტად აღიარებულ უნდა იქნეს დანაშაულის რამოდენიმეჯერ ჩადენა, რის გამო საკმარისია, რომ ყველა დანაშაული დადასტურდეს სასამართლოს მიერ ერთ განაჩენში; მდგომარეობა შეუტყველად რჩება იმ შემთხვევაშიც, როცა პირველი დანაშაული დაფარულია ხანდაზმულობით, შეწყყნარებით ან ამნისტიით.

ამით, სხვათა შორის, დანაშაულის ჩადენა ხელობის სახით განსხვავდება დანაშაულის განმეორებით ჩადენისაგან (რეციდივი), რომელიც მოითხოვს, რომ მეორე დანაშაული ჩადენილი იქნეს მას შემდეგ, რაც ბრალდებულმა უკვე მოიხადა სოციალური დაცვის ღონისძიება წინეთ ჩადენილ ასეთივე შინაარსის დანაშაულისათვის, თუ ამასთანავე მეორე დანაშაული ჩადენილია იმ ვადის გასვლამდე, რაც ს. ს. კ. 15—მუხლშია აღნიშნული (44 მ. შენიშვნა).

პროფესორი გროდზინსკის აზრით დანაშაულის ხელობის სახით ჩადენის შემთხვევაში იმის მოთხოვნა, რომ სახეზე იყოს ორი დანაშაული მაინც, მხოლოდ ისეთს შემთხვევებს შეეხება, როცა ხელობა, ქმედობის გამართლებელი მომენტი, მაგ. იმის დასამტკიცებლად, რომ ნაქურდალი საქონლის შესყიდვა ხელობათაა გადაქცეული (179 მ. მე-2 ნაწ.), საჭიროა გამოაშკარავებულ იქნას რომ დანაშავემ ორჯერ ჩაიდინა ის დანაშაული, რაც 179 მუხლის პირველ ნაწილშია გათვალისწინებული.

რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა ხელობის სახით მოქმედება დანაშაულის შედეგნილობის ერთ-ერთ ნიშანია (მაგ., დანაშაული გათვალისწინებული 58<sup>26</sup> მ. და სხვ.), აქ უნდა იქნას დადასტურებული, რომ დანაშავემ ორჯერ ჩაიდინა ის ქმედება, რომლის სისტემატიური ჩადენა ქმნის დანაშაულის შინაარსს, მაგ. ყალბი ლითონის ფულის გაკეთებას ან გასაღებაში ბრალის დადებისათვის საჭიროა დადასტურებულ იქნას ფულის ნიშნების დაშადების ორჯერ ჩადენა (იხ. Гродзинский, Профессиональная преступность).

თუ ხსენებულ დებულების თვალსაზრისით ჩვენ იმ საკითხს მიუდგებით რომელსაც ეხლა ვიხილავთ, უნდა ვალიაროთ, რომ კონტრაბანდული საქონლის შენახვა და გაყიდვა ხელობის სახით არის რამოდენიმე შემთხვევა ასეთი საქონლის დაგროვებისა და გასხვისებისა სხვა კანონში აღნიშნულ პირობებში, როგორცაა დანაშაულის მიერ წინასწარ იმის ცოდნა, რომ საქონელი შემოტანილია კონტრაბანდული წესით. — ასეთია საერთო დებულება.

მაგრამ სასამართლოს პრაქტიკა ამ ხაზს სავსებით არ ატარებს, ის უფრო შორს მიდის და კონტრაბანდულად შემოტანილ საქონლის შენახვისა და გაყიდვის ერთ შემთხვევასაც უფარდებს 58<sup>24</sup> მუხლის „ზ“ პუნქტის მოქმედებას საქმის კონკრეტულ ვარემოებათა მიხედვით. არის, მაგ., შემთხვევა, როდესაც საგუბერნიო სასამართლომ რამოდენიმე ვაჭრებს, რომლებთან კონტრაბანდული საქონელი იქნა აღმოჩენილი, ბრალდება წაუყენა კონტრაბანდის შენახვაში ხელობის სახით, ვინაიდან სასამართლოს მოსაზრებით „კონტრაბანდული საქონლის შენახვა მისი ვაჭრებზე გასაღების მიზნით, თუნდაც ეს იყოს დანაშაულის ჩადენის პირველი შემთხვევა, მუდამ გულისხმობს ხელობის სახით ჩადენილ მოქმედებას“; და ასეთი დასკვნა სასამართლოსი რ. ს. ფ. რ. უხენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ დადასტურებულ იქნა.

რა თქმა უნდა ასეთი განმარტება იმ დებულებებიდან, რაც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ, პირდაპირ არ გამომდინარეობს, მაგრამ კონტრაბანდული საქმეების განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო საჭიროა, რომ სასამართლოებმა ჩვენშიც ეს ხაზი აიღონ და ვაჭრებზე გასაღების მიზნით კონტრაბანდული საქონლის შენახვის ყოველივე შემთხვევებში ჰპოვონ კვალიფიციური კონტრაბანდის ნიშნები 58<sup>24</sup> მუხლის დანართის „ზ“ პუნქტის მიხედვით, დამოუკიდებლად იმისა, ჩადენილია ასეთი დანაშაული ორჯერ, თუ მხოლოდ ერთჯერ; ამას მოითხოვს ის განსაკუთრებული მიდგომა, რომლითაც სასამართლოს ორგანოები უნდა სწყვეტდნ ისეთი დანაშაულის საქმეებს, როგორცაა ჩვენს პირობებში კონტრაბანდა მისი მრავალგვარი სახეებით. შესაძლოა, რომ ეს იყოს ერთგვარი გადახრა საერთო დებულებიდან, ხელობის სახით ჩადენილი დანაშაულის ცნების გაფარ-

თოგბა იმ შინაარსის გარეშე, რომელშიც ყალიბდება ეს დანაშაული ლიტერატურაში არსებულ კომენტარიების მიხედვით, მაგრამ, ვიმეორებთ, ეს არსებითად საჭიროა და ჩვენშიც უნდა იყოს მიღებული, როგორც სახელმძღვანელო დებულება სათანადო შემთხვევებში.

ჩვენი აზრით ასეთივე მნიშვნელობა კონტრაბანდული საქონლის შენახვისა და გაყიდვის შემთხვევაში უნდა მიეცეს აგრეთვე შენახულ და გაყიდულ საქონლის რაოდენობას; ის პიროვნება, რომელიც დიდიძალი კონტრაბანდული საქონელს ინახავს ან ასაღებს, საკმარისად ააშკარავებს, რომ ასეთი საქმის წარმოება მას ხელობად აქვს გადაქცეული, და ამ შემთხვევაშიც სასამართლომ ასეთი პირების მოქმედება 58<sup>ე</sup> მუხლის „ზ“ პუნქტის ფარგლებით უნდა განსაზღვროს სწორეთ „ხელობის“ ნიშნების მიხედვით, თუნდაც ასეთი დანაშაული ბრალდებულს მხოლოდ ერთჯერ ჰქონდეს ჩადენილი.

ამრიგად ზემოდ მოყვანილი მოსაზრებიდან ჩვენ ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ კონტრაბანდული საქონლის შენახვა და გაყიდვა ხელობის სახით, როგორც საერთო დებულება, არის ასეთის დანაშაულის რამოდენიმეჯერ ჩადენა, რომელი მოქმედებითაც ბრალდებული პოვებს თავის არსებობისათვის ძირითად ან დამატებითი სახსარს, მაგრამ ამ დებულებას არ შეიძლება ყველა შემთხვევებში საკითხის ამომწურავი მნიშვნელობა მიეცეს და ზოგჯერ მასში შესაძლოა იმ შესწორებების შეტანა, რასაც მოითხოვს საქმის განსაკუთრებულს პირობები, როგორცაა, მაგ., ჩვენ მიერ უკვე აღნიშნული კონტრაბანდული საქონლის ვაჭრებზე გასაღება, დიდ ძალი საქონლის შენახვა და სხვ.

## ი. ჩიონაშვილი.

### სისხლის სამართლის საპროცესო ახალი კოდექსის ბარშემო \*)

ახლა გადავიდეთ საქმეთა ქვემდებარეობის საკითხზე. აქ აღსანიშნავია შემდეგი: საქმეთა ქვემდებარეობის საკითხის გადასინჯვა სახალხო სასამართლოთა კომპეტენციის გაფართოების მიმართულებით, უკვე მოხდა საქართველოში სისხ. სამ. საპრ. კოდ. უკანასკნელი გადამუშავების დროს. სახალხო სასამართლოების კომპეტენციის გაფართოება ამ მხრივ, ჩვენის აზრით, ამ უამად სრულიად არ არის საჭირო.

ეს საკითხი უფრო ფართო მასშტაბით კვლავ შეიძლება წამოიჭრეს, მხოლოდ მაშინ როდესაც გადაწყდება სამაზრო სასამართლოების ბედილობა და დაისმება საკითხი სახალხო სასამართლოების ერთიან სისტემაზე გადასვლის შესახებ, მაგრამ საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატში ეს საკითხი ჯერ არ არის დასახული კონკრეტულად\*\*). აქ ჩვენ გვსურს მხოლოდ აღვნიშნოთ რამდენიმე არსებითი მოვლენა, რომელიც ახასიათებს რ. ს. ფ. ს. რ. სისხ. სამ. საპ. კოდ. პროექტს ქვემდებარეობის სხვა საკითხებში.

\*) დასაწყისი იხ. „საბ. სამართ.“ № 1. 1929 წ.

გარდა იმ წესის, რომლის თანახმად სახალხო მოსამართლე ერთ პიროვნულად იხილავს საქმეს და გამოაქვს განაჩენი სასამართლოს ბრძანების წესით, ფრიად მნიშვნელოვან ნოველად ამ დარგში უნდა ჩაითვალოს პროექტით მიღებული წესი, რომლის ძალით ერთპიროვნული სახალხო მოსამართლე საერთო წესით იხილავს საქმეებს ე. ი. სახალხო მსაჯულთა დაუსწრებლივ, მაგრამ იმ წესით, რაც მიღებულია საქმეების განსახილველად სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით. თავის თავად ცხადია, რომ ეს ინსტიტუტი ფრიად მიზანშეწონილ ნოველას წარმოადგენს და საგრძნობლად აჩქარებს საქმეთა განხილვას. ამაზე შეიძლება გვიპასუხოთ, რომ ასეთი წესი შეუძლებლად ხდის მუშათა და გლეხთა მასების უშუალო მონაწილეობის სასამართლოს მუშაობაში, იმ მონაწილეობას, რომელიც ერთ-ერთი არსებითი პირობაა სწორი კლასობრივი ხაზის განხორციელებისათვის სასამართლოს მუშაობაში. მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს, რომ ერთპიროვნულ სახალხო მოსამართლეს უნდა დაექვემდებაროს განსაკუთრებით უმნიშვნელო საქმეები, როგორცაა, მაგ. ზოგიერთი საქმე, რომელიც აღიძრება კერძო ბრალდების წესით, უბრალო ქურდობა და სხვა, მაგრამ, უკეთეს ეს საქმეები რთული ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე აღმოჩნდა, მაშინ სახალხო მოსამართლის ან პროკურორის დადგენილებით ასეთი საქმე განხილულ უნდა იქნეს სრული შემადგენლობით, სახელდობრ, სახალხო მოსამართლის და სახალხო მსაჯულთა შემადგენლობით. მეორეს მხრივ, ჩვენ სახალხო სასამართლოთა პირადი შემადგენლობა თავის თავად სწორი კლასობრივი ხაზის გატარების საქმით გარანტიას წარმოადგენს. საკითხი იმის შესახებ, თუ რა საქმეები უნდა მიეკუთვნოს ერთპიროვნულ სახალხო მოსამართლის კომპეტენციას, არ არის იმდენად არსებითი. რსფსრ-ის სისხ. სამ. საპრ. კოდ. პროექტით ერთპიროვნულ სახალხო მოსამართლეს ექვემდებარება საქმე ისეთი დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია (ჩვენი კოდექსის) 62, 67, 68, 79, 84, 89, 93 მუხ. 1 ნაწ., 99, 100, 111, 174, 178, 196, 197 და სისხ. სამ. კოდ. VIII თავის მუხლებით. რაც საერთოდ სწორად უნდა იქნეს ცნობილი.

საკითხს ეგრედ წოდებულ პირობითი ქვემდებარეობის ფაქტორი შეფარდებისა, რაც მიღებულია რსფსრ-ის პროექტით, ე. ი. როდესაც შესაძლებელია საქმის გადაცემა ერთი სასამართლოდან სხვა კომპეტენციის მქონე მეორე სასამართლოში, და აგრეთვე ტერიტორიალურ ქვემდებარეობის საკითხს, ე. ი. როდესაც საქმეს იხილავს არა იმ რაიონის სასამართლო, სადაც მოხდა დანაშაული, არამედ ის სასამართლო, რომლის რაიონშიც ცეხოვრობს ბრალდებული, ამ საკითხებს არა აქვთ დიდი მნიშვნელობა ჩვენს სინამდვილეში ჩვენში მიღებულ სასამართლოთა ერთიან სისტემის გამო. მაგრამ ეს პრინციპები შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ მიმართულებით, რომ უზენაეს სასამართლოს მიენიჭოს ფართო უფლება გადასცეს საქმე ერთი სასამართლოდან სხვა კომპეტენციის მქონე სასამართლოში, რაც ამ ჟამად მომქმედი სისხ. სამ. საპრ. კოდექსით არ არის დაშვებული.

\*\*) შენიშვნა თანახმად იუსტსახკომის ბრძანებისა (ა-წ. 20 თებ. ბრძანება № 25; § 1). სამაზრო სასამართლოები ამ ჟამად გაუქმებულია შემდეგ პუნქტებში: ახალციხის, შორაპნის, ზუგდიდის და სენაკის მაზრებში—რედაქცია.



იმ საკითხების დარგში, რომლებიც შეეხება სასამართლოს შემადგენლობას და მხარეებს, ჩვენ მოვიხსენიებთ მხოლოდ ერთ საკითხს, სახელდობრ, დამცველთა მონაწილეობის შესახებ სისხ. სამ. პროცესში. რსფსრ-ის პირველი პროექტი უკიდურეს თვალსაზრისს დაადგა ამ საკითხში. ასეთივე თვალსაზრისი შეითვისა იუსტიციის ზოგიერთმა მუშაკმა (მართალია, უმცირესობამ), რომლებმაც ისე სასტიკად გაილაშქრეს დამცველთა წინააღმდეგ, რომ თითქმის სრულიად უარ-ჰყოფდნენ შეჯიბრების პრინციპს სისხ. სამ. პროცესში. ეს გამოლაშქრება გამო-წვეული იყო იმ ექსცესებით, რომლებსაც ჰქონდა ადგილი დამცველთა კოლე-გიის ზოგიერთი წევრის მხრივ, რაც შეცდომით საერთო მოვლენად იქნა აღიარებული. ბრძოლა სწარმოებდა არა იმ მიმართულებით, რომლითაც უნდა ყოფილიყო იგი წარმოებული. სისხ. სამ. საპრ. კოდ. ძირითადი პრინციპების გამომუშავებელმა კომისიამ, რომელიც უმუშაობდა ჩვენში იუსტიციის სახალხო კომისარიატთან, გამოიტანა მთელი რიგი დადგენილებები დამცველთა მონაწილეობის შესახებ სისხ. სამ. პროცესში. ეს დადგენილებები საესებით ეთანხმებიან იმ დებუ-ლებებს, რომლებიც შეითვისა ამ ჟამად იუსტიციის სახალხო კომისარიატის კო-ლეგიის მიერ 1928 წ. დეკემბრის 7-ს ანხ. ბრანდებურგსკის მოხსენების გამო მიღებულმა რსფსრ-ის სისხ. სამ. საპრ. კოდ. უკანასკნელმა პროექტმა. პროექ-ტით საერთო წესად არის მიღებული დამცველის დაშვება მხოლოდ იმ შემთხ-ვევაში, როდესაც ამას საჭიროდ სცნობს სასამართლო, ხოლო დამცველის მონა-წილეობა სავალდებულოა შემდეგ შემთხვევებში: ა) როდესაც ბრალდებულს ისე-თი რაიმე ფიზიკური ნაკლი აქვს, რომელიც უსპობს მას შესაძლებლობას თვით დაცვის თავი, ბ) როდესაც დამცველის დაშვების შესახებ შუამდგომლობდა საზო-გადოებრივი ან პროფესიონალური ორგანიზაცია და გ) როდესაც საქმეში ბრალ-მდებლის სახით მონაწილეობას იღებს პროფესორი ან გამომძიებელი.

როგორია მხარეთა კამათის ფარგლები პროცესში—ამის შესახებ ჩვენ ვი-ლაპარაკებთ მაშინ, როდესაც გადავალთ სასამართლო გამოძიებაზე. ამ ჟამად კი ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ზემომოყვანილი ფორმულა დამცველის მონაწი-ლეობისა სისხ. სამ. პროცესში, ჩვენის აზრით, სრულიად სწორია, ხოლო საჭი-როა დამცველის მონაწილეობა სავალდებულოდ იქნეს მიღებული იმ შემთხვევა-შიც, როდესაც პროცესში მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივი ბრალდებუ-ლი, თანაც უკანასკნელის მონაწილეობის უეჭველ პირობას არ უნდა წარმოად-გენდეს პროკურორის მონაწილეობა საქმეში.

## სამაზრო საპატიმრო სახლებთან არსებულ მეთვალყურე კომისიის შესახებ\*).

გწ. ჟურნალი «საბჭოთა სამართალი»-ს № 20-ში მოთავსებული იყო ამხ. ი. გულორდავას წერილი სათაურით: «საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს და ქუთაისის გამსახლთან არსებული განმანაწილებელი კომისიის შესახებ». წერილის ავტორი ეხება სამაზრო საპატიმრო სახლებთან არსებულ მეთვალყურე კომისიების მიერ წარდგენილ შვამდგომლობების თავის დროზე არ განხილვას ცენტრ. განმანაწილებელი კომისიების მიერ, გამოსწორების გზაზე დამდგარი პატიმრების ვადამდე განთავისუფლების შესახებ და ამისთვის მოყაქს რამოდენიმე მავალითი სენაკის საპატიმრო სახლის სინამდვილიდან; ბოლოს წერილის ავტორი საჭიროდ სცნობს, სამაზრო საპატიმრო სახლებთან არსებული მეთვალყურე კომისიების უფლებების გაფართოვებას და სხვა.

ამხ. ი. გულორდავას აზრით, სამაზრო საპატიმრო სახლებთან არსებულ მეთვალყურე კომისიების უფლებათა გაფართოვების შესახებ, დროულია და აუცილებელიც.

ამის დასასაბუთებლად მინდა რამოდენიმე ფაქტები მოვიყვანო სამაზრო საპატიმრო სახლებთან არსებული მეთვალყურე კომისიის მუშაობის პრაქტიკიდან.

### მეთვალყურე კომისიის უფლებები.

თუ რა უნდა გააკეთონ მათ, ეს მოკლეთ და კონკრეტიულად გათვალისწინებულია შრ. ვას. კოდექსის 34 მუხ. (34 მუხ. დანაწილებულია 8 პუნქტად), მაგრამ თუ ჩვენ დავაკვირდებით ამ მუხლს დავინახავთ, რომ სამაზრო საპატიმრო სახლთან არსებულ მეთვალყურე კომისიას დამოუკიდებლად, თითქმის არც ერთი ცოტათი მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა არ შეუძლია.

სამაზრო საპატიმრო სახლებში იგზავნებიან შემდეგი კატეგორიის პატიმრები:

1. ყველა ის, ვინც გამოძიებაშია მიცემული, 2. ის, ვისაც თავისუფლების აღკვეთა გადაეწყვიტა, იმ დრომდე, ვიდრე განაჩენი კანონიერ ძალაში შევა, და 3. ის, ვისაც სასამართლოს განაჩენით და სხვა საამისოდ უფლება მოსილი ორგანოს დადგენილებით გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა 6 თვემდე;— შ. გ. კ. 65 მუხ. პუნ. 1—აქედან ცხადია, რომ სამაზრო საპატიმრო სახლებში არ წარმოადგენენ მარტო წინასწარი პატიმრობის სახლებს, არამედ სამაზრო საპატიმრო სახლებში იმყოფებიან აგრეთვე მცირე ვადიანი პატიმრებიც.

იბადება კითხვა, ვინ არიან ეს მცირე ვადიანი პატიმრები?

მართალია ესენი უმთავრესად არიან ხულიგნები, ჯიბგირები და უბრალო ქურდები, მაგრამ მათ შორის აგრეთვე თქვენ დაინახავთ ღარიბ და საშვალო გლეხობასაც, რომლებსაც შეგნებით თუ შეუგნებლად ჩაუდენიათ სის. ს. კოდ. 85, 86 და სხვ. მუხლებში გათვალისწინებული ესა თუ ის მცირე დანაშაული;

\*) საკითხის განხილვის წესით



მაგ. სოფლის ღარიბ გლეხმა დაარღვია სატყეო კანონები, მოუვიდა თავის მეზობელთან ჩხუბი ღობისა, პირუტყვისა ან სხვა საქმის გამო. ესეთი გლეხი, როგორც სისხლის სამარ. დამნაშავე იგზავნება საპატიმრო სახლში სასამართლოების განაჩენით ერთი-დან ექვს თვემდე. ეს გლეხი (პატიმარი) მისჯილი სასჯელს იხდის მთლიანად მიუხედავად მისი სოციალ.-ეკონომიური მდგომარეობისა და მიუხედავად იმისა, რომ მისგან მსგავსი ქმედობა არაა მოსალოდნელი, მაგრამ შ. გ. კ. გათვალისწინებული მინიმალური ვადის გასვლის (სასჯელის მოხდის) შემდეგ მეთვალყურე კომისია მოკლებულია საშვალებას ასეთ პატიმრებს მისცეს ის შეღავათები, რომლებიც გათვალისწინებულია არსებული კანონებით. (ვადამდე გაანთავისუფლოს) თუმცა შ. გ. კ. 34 მუხ. 2-პ. თანახმად მეთვალყ. კომისიას შეუძლია შეამდგომლობა აღძრას ასეთი პატიმრის ვადამდე განთავისუფლების შესახებ ცენტრ. განმანაწ. კომისიის წინაშე, რომელიც რასაკვირველია აკმაყოფილებს მეთვალ. კ.-ის შეამდგომლობას, მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმეა ჩვენს სინამდვილეში. თუ მცირე ვადიანმა პატიმარმა არ მოიხადა ორი მესამედი ან ყოველ შემთხვევაში ნახევარი მაინც მისჯილი სასჯელისა, შეუძლებელია მისი ვადამდე განთავისუფლების შესახებ შეამდგომლობის აღძვრა.

ვთქვათ ღარიბ გლეხს მეზობეთთან ჩხუბის გამო მიუსაჯეს სამი თვე, მოიხადა ორი თვე, ამის შემდეგ მეთვალყურე კომისია დარწმუნებული იმაში, რომ პატიმარი მომავალში არ ჩაიდენს მსგავს ქმედობას, აღძრავს შეამდგომლობას ცენტრ. განმანაწილ. კომისიის წინაშე პატიმრის ვადამდე განთავისუფლების შესახებ, გამოდის აქიდან რაიმე თუ არა?

კომისია თავის სხდომის შემდეგ ყველა მასალებს გზავნის ცენტრალურ გამწესრიგებელ კომისიაში, ცენტრ. განმანაწ. კომისიის სხდომა ხდება თვეში ორჯერ შ. გ. კ. 30 მუხ. (მხედველობაში მაქვს დ.ს. ცენტრ. გამსახლთან არსებული განმანაწილებელი კომისიის) მაგრამ თუ რაიმე პატივსაღებ ძიებების გამო კომისიის სხდომა ვერ შესდგა და სამაზრო საპატიმრო სახლის მეთვალყურე კომისიის შეამდგომლობის განხილვა გადაიდო შემდეგი სხდომისათვის, ამ ერთი სხდომის გადადებით პატიმარს ვერ ელირსება ის შეღავათი, რომელიც მეთვალყურე კომისიამ განიზრახა მიეცა მისთვის.

მე არ მინდა ამით ბრალი დავდო ქუთაის. განციფილებას, მაგრამ როგორც აღვნიშნე, კომისიის სურვილებისა და მისდა დამოუკიდებელი მიზეზების გარეშე კომისიის სხდომები თავის დროზე ვერ სდგება. ამ რეკათ მეთვალყურე კომისიის მუშაობას არავითარი ნაყოფი არ მოაქვს ვინაიდან, სანამ ცენტრ. განმანაწილ. კომისია გააჩქევდეს საკითხს და გამოგზავნიდეს პატიმრის განთავისუფლების შესახებ დადგენილებას, პატიმარი უკვე განთავისუფლებულია სასჯელის ვადის მოხდის გამო.

ამნაირად სამაზრო საპატიმრო სიხლებთან არსებული მეთვალყურე კომისიის უფლებები საკიროა გაფართოვდეს ე. ი. საპ.სახლებ. არსებული მეთვალყურე კომისიებს უნდა მიეცეს უფლება შ. გ. კ. 34 მუხლში გათვალისწინებული საკითხების ადგილობრივად გადაჭრისა, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა შესწორებული იქნას შ. გ. კ. 33 მუხ. საპატ. ადგილების მეთვალყურე კომისიის შემადგენლობის შესახებ.

მეთვალყურე კომისიის შემადგენლობაში უნდა იქნან შეყვანილი: 1) ადგილობრივი სამაზრო სასამართლოს თავმჯდომარე (იგივე კომისიის თ-რე), 2) მაზრალმასკომის პრეზიდენტის წევრი, 3) ადგილობრივი მ.გ. ინსპექციის რწმუნებული, 4) მაზრის პოლიტსამმართველოს რწმუნებული, 5) ადგილობრივი საპატიმრო სახლის უფროსი, 6) საპატიმ. ექიმი ან მისი თანაშემწე და 7) საპატიმროს უფროსის თანაშემწე.

როდესაც ასეთი შემადგენლობით იქნება სამაზრო საპატიმრო სახლების მეთვალყურე კომისიები, (სხდომაზე მონაწილ. მიიღებს მაზრის პროკურორი.) მაშინ არავითარი უპირატესობა არ შეიძლება მივაკუთნოთ ქუთაისის გამსახლთან არსებული განმანაწილ. კომისიას და მათ ნება უნდა მიეცეს განიხილონ და გადაჭრან ადგილობრივად ყველა ის საკითხები, რომლებიც დღემდე საჭიროებდა შემადგომლობას ცენტრ. განმანაწილებელი კომისიის (ქუთ. განყოფ.) წინაშე, ამით, ერთი, რომ განტვირთავთ ქუთაისის განყოფილებას და მეორე ის, რომ ყველა საჭირობოროტო საკითხები დროზე იქნება მოგვარებული ადგილებზე და ის შეღავათები, რომლებიც ხელისუფლების მიერ გამოცემული კანონებით უნდა მიეცეს პატიმრებს, სათანადოთ იქნება მოგვარებული.

ყოველივე ამის შემდეგ უნდა ავლნიშნო, რომ საჭიროა მეთვალყურე კომისია, (მხედველობაში მაქვს ახალი შემადგენლობით) უშუალოდ ემორჩილებოდეს საპატიმრო ადგილ. მთავარ სამმართველოსთან არსებულ ცენტრალურ განმანაწილებელ კომისიას და თავის მოქმედების შესახებ ანგარიშგაღებულ იყოს მისივე წინაშე\*)

ს. ანდლულაძე (ქ. ფოთი)

## რესპუბლიკის მილიციის სკოლის გარემო

საქ.ს.ს. რ. შინსახკომის ადმინისტრაციულ სამმართველოს გახსნილი აქვს მილიციის სკოლა, როგორც უფროს ისე უმცროს შემადგენლობის მოსამზადებლათ. მიუხედავათ იმისა, რომ აღნიშნულ სკოლაში მეცადინეობა რამოდენიმე თვეებით განისაზღვრება, ის მაინც ახერხებს თითოეულ მაზრას (საშუალოდ) მისცეს საკმაოთ მომზადებული ორი მუშაკი. ეს რიცხვი მომზადებულ თანამშრომელთა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დამაკმაყოფილებლათ ჩაითვალოს. ჩვენი მუშაობის პირობების მიხედვით გაცილებით მეტი რაოდენობის და უფრო მაღალი კვალიფიკაციის მუშაკები გვჭირდება, ვიდრე ამას იძლევა რესპუბლიკის მილიციის სკოლა, ეს იმ დროს, როცა ამ სკოლის შენახვა შინსახკომს ძლიერ ძვირად უჯდება.

ჩვენ ვფიქრობთ ამ ხარჯების თავიდან ასაცილებლათ და ამავე დროს მეტი რაოდენობისა და მაღალი კვალიფიკაციის მილიციის მუშაკების მოსამზადებლათ უნდა შემოვიღოთ ადგილებზე სწავლებას ორგვარი მეთოდი, შემდეგნაირად:

\*) მაზრის საპატიმრო სახლების მეთვალყურე კომისიის წევრებს, სათანადო ორგანიზაციებს და დაინტერესებულ პირებს ვსთხოვთ მოგვაწოდონ თავიანთი წინადადებანი აღნიშნულ საკითხზე—რედაქცია.



პირველი—კატეგორიის მიეკუთვნოთ მახრის უფროსები, სისხ. სამ. სამძ. ქ-განყ. უფროსები, რწმუნებულები და შეიძლება რაიონის უფროსებიც, რომლთათვის შემოღებულ უნდა იქნეს ადგილებზე სავალდებულო ხწავლა განსაზღვრულ ვადაში; სახელმძღვანელო ლიტერატურა უნდა ეგზავნებოდეს ცენტრიდან მითითებებით დასამუშავებლად. ადმინისტრაციულში სამმართველომ ზემო-ჩამოთვლილ თანამდებობის პირთ უნდა განუსაზღვროს დრო მასზე დავალებულ ლიტერატურის შესწავლისა, რამოდენიმე თვეებით განსაზღვრულ ვადის გავლის შემდეგ როგორც მახრის უფროსები, აგრეთვე სხვებიც გამოძახებულ უნდა იქნან ცენტრში და მათ უნდა მოეთხოვოს საგნების ჩაბარება თანახმად მიცემულ სახელმძღვანელოებისა; ასეთი გამოცდების ჩაბარება უფშემადგენლობისაგან შესაძლებელი უნდა იქნეს დრო-გამოშვებით და ერთ-დროულათაც, ვინც როგორც შესძლებს და მე ვფიქრობ ამგვარ მიდგომით ჩვენ შეგძლებთ დაჩქარებით ავამაღლოთ ჩვენი კადრის კვალიფიკაცია ადმინისტრაციულ დარგში და ამავე, დროს საჭირო იქნება მცირე ფინანსიური რესურსები, ვიდრე ეს იხარჯება იმ სკოლებზე რომელიც დღეს აქვს მთავარ სამმართველოს; რაც შეეხება უმცროს თანამშრომლების გადამზადებას, ეს უნდა მოხდეს ადგილობრივად, და ამ საქმეში ჩაბმულ უნდა იქიეს აღმასკომი, პარტ-ორგანიზაციები და პროფ-კავშირები. ყოველ-წლიურად მარქათში უნდა გაიხსნას რამოდენიმე თვიანი სკოლა. სწავლება უნდა სწარმოებდეს ცენტრიდან მოცემულ სახელმძღვანელოებით და დირექტივებით. სამოსწავლო [დროს განმავლობაში ლექტორები მგლნებულ უნდა იქნან კავშირიდან კავშირის ხაზის შესასწავლად, პარტ-ორგანიზაციიდან პარტიული ხაზის შესასწავლად, ხოლო რაც შეეხება სხვა დებულებას, როგორცაა: სისხ. სამ. კოდექსი, საპროცესო კოდექსი, შინა-სამსახურის წესდება, ადმინისტრაციულ უფლებრივი საკითხი და სხვა, ახესათვის გამოყენებული უნდა იქნეს მილიციის უფშემადგენლობიდან—მომზადებული ამხ. და ადგილობრივი სახ. გამომძიებელნი. საჭიროა მოვანდინოთ საკუთარი ძალების მობილიზაცია დაბალ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

განვითარებულ მილიციონერს შეუძლია მოქალაქეებს ისე მოექცეს, რომ ყოველგვარი სმკითხები ჩაატაროს უმტკივნელოდ და ხელისუფლების პრესტიჟი არ შელახოს; მაგრამ რა ქნას იმ მილიციელმა, რომელიც ვერ ერკვევა, მის წინაშე წამოყენებულ ყოველდღიურ საკითხებში? შეიძლება ის ცდილობდეს საქმის სისწორით წარმართვას, მაგრამ სამაისო ცოდნა მას არ შესწევს და მოსახლეობის თვალში კი არ ეცემა მარტოდ ერთი მილიციელის პრესტიჟი, არამედ მთელი ხელისუფლების ავტორიტეტზე აქვს გავლენა მილიციის არა სწორ მიდგომას; ამიტომ გადაუდებელ ამოცანათ უნდა დადგეს შინსახკომის წინაშე მილიციის ორგანოების გაჯანსაღება და გათვითცნობიერება.

ამჟამად ზოგიერთ შაზრებში აწარმოებენ მარქათაში უმცროს თანამშრომლების გადამზადებას, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი დროგამოშვებით მეცადინეობა, რომელიც ჯერ-ჯერობით სწარმოებს არაფერს არ აძლევს თანამშრომლებს.

საჭიროა მეტი გეგმიანობა მეცადინეობაში და მილიციის თანამშრომელთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაღრმავება, რათა თავის მოწოდების სიმძლავრე იდგეს მილიციის ორგანოები.

**ლაგოდხის სახ. სასამ. არსებულ დამცვ. კოლევ.  
საკონსულტაციო ბიუროდან.**

სასამართლოში შექმნილი ხშირად შრომის საქმეები მეველეების, მენახირეების და სასოფლო მეურნეობაში დაქირავებულ მოჯამაგირეების. ხშირად ხდება რომ ხელშეკრულება დადებული არა აქვთ დამქირავებლებს პროფკავშირებში, რითაც გამოწვეულია საქმის გაჭიანურება და დროზედ ვერ სრულდება საქმის განხილვა, ვინაიდან საქმეები არის ბუნდოვანი; აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ალაზან გამოღმა რაიონის მოჯამაგირეებს ხშირათ უხდება სასამართლოში გამოცხადება დაშორებული მანძილიდან, ვინაიდან ლაგოდხის რაიონში არსებობს ერთი სახ. სასამართლო და გარდა სესიებზედ მივლინების დროს დანარჩენ შემთხვევებში შრომის საქმეები ირჩევა თვით ლაგოდხში. შრომის საქმეები რომ დროზედ იქმნეს დამთავრებული ამისათვის ჩვენი აზრით საჭიროა ადგილობრივმა თემადმასკომებმა რომლებიც სასამართლოს სამ. საქმედო რაიონში შედიან მიაქციონ სათანადო ყურადღება რომ არც ერთი მოჯამაგირეები არ გამორჩეს აღრიცხვიდან და ხელშეკრულება იღებოდეს პროფკავშირებში, რითაც სასამართლოს მიეცემა საშვალება შრომის საქმეები დროულათ დაამთავროს.

679



## იურიდიული დახმარება

**კითხვა.** სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 271 მუხლის ორივე დანართში აღნიშნულია რომ გადახდევინება არ შეიძლება მიქცეულ იქნეს სხვათა შორის მოვალის კუთვნილ სკამზე (ტაბურეტკაზე) კანონში განსაზღვრული რაოდენობით (თითო სკამი მოვალის ოჯახის თვითეულ სულზე).

არის შემთხვევა, როცა მოვალეს სრულიად არა აქვს ტაბურეტი, ხოლო მას აქვს ვენის სკამი.

მიიქცევა თუ არა მაზე გადახდევინება?

**ერმ. გვილავა.**

**პასუხი.** სამ. საპრ. კოდექსის 271 მუხლის დანართში ბრჩიხილებშია მოყვანილი „ტაბურეტი“ როგორც იმის განმარტება, რომ სკამით მიიჩნევა აგრეთვე ტაბურეტიც, ასე რომ გადახდევინებისაგან განსათავისუფლებელ საგნათ უნდა ჩავთვალოთ იმ დანიშნულების საგანი, რასაც სკამი ემსახურება. ასეთ საგანთა რიცხვს უნდა მივაკუთნოთ ვენის სკამიც.

**კითხვა.** ამ ოთხი წლის წინათ მე დავექორწინდი ლიდა გულასპისშვილზე მან ჩემთან იცხოვრა მხოლოდ ორი კვირა, და თავის ნებით წავიდა მოწმე ბის თანადასწრებით. გავიდა ოთხი წელი და მიჩივლა ალიმენტი, თანაც დასძინა ვითომ მე ვენერიული ავთამყოფობა გადამედოს მისთვის. საქმე გაიჩა ტვ. მე-4-ე უბნის სასამართლოში წარსულ წლის 15 აგვისტოში სასამართლომ გადაგვგზავნა ექსპერტებთან გასასინჯათ. ექსპერტებმა მე გამსინჯეს როგორც გარეგნულათ ისე სისხლის მორფით და ჩემში ვერაფერი ვერ აღმოაჩინეს. ქალი კი ოთხჯერ გაგზავნეს და ოთხჯერვე არავითარი შედეგი არ აღმოაჩინდა ავთამყოფობის, მაგრამ მე მაინც მახდევინებენ 15 მანეთს 1928 წ. აგვისტოდან — ოქტომბრამდე.

უკანასკნელ სასამართლოს სხდომაზე სამ ნოემბერს 1928 წ. დაადგინეს რომ მე ვიხადო ნოემბრის პირველიდან ამ წლის პირველ ნოემბრამდე ესე იგი 1929 წლამდე 10 მანეთი.

მე ფიზიკურათ სუსტი მუშა ვარ. ოცდა რვა წელიწადია სტამბაში ვმუშაობ გადამრჩევის ადგილზე და ვლებულობ 45 მან. გთხოვთ ნირჩითო როგორ მოვიქცე.

**ალექსანდრე გაბრიელავი.**

პასუხი. თუ თქვენი ყოფილი მეუღლე გაჭირვებული და შრომის უნარ მოკლებული არ არის და თუ სასამართლოში არ გამოჩვენდა, რომ მას თქვენგან გადაედვა ვენერიული ავადმყოფობა და რომ ამისგან მომავალი ესაჭიროება აქიზობა, სასამართლოს არ ჰქონდა საფუძველი დაეკისრებია თქვენთვის გადასახადი თქვენი ყოფილი მეუღლის სასარგებლოდ. თქვენ შეგიძლიანთ მიმართოთ განცხადებით რესპუბლიკის პროკურორს, რომელიც ზედამხედველობის წესით გაეცნობა თქვენს საქმეს და შეიტანს პროტესტს, თუ აღმოჩნდება, რომ ნამდვილად ასე უსაფუძვლო გადაწყვეტილება გამოიტანა სასამართლომ.

# კანონმდებლობის მიმოხილვა

## ს. ს. რ. კავშირის კანონმდებლობა. გადასახადები და გამოსაღებები.

1929 წ. თებერვლის 1—დან თებერვლის 28—მდე.

ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ის 1929 წ. თებ. 28 დადგენილებით დამტკიცებული „დებულება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ“ სამოქმედოდ შემოღებული უნდა იქნეს 1929—30 საგანკვეთ წლიდან. მოკავშირე რესპუბლიკების ს. კ. ს-ებმა ორი თვის ვადაში უნდა შეათანხმონ თავიანთი კანონმდებლობანი აღნიშნულ დებულებას („იზ.“ № 43, 1929 წ. თებ. 21).

### საბინაო კანონმდებლობა.

ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ის 1929 წ. ივნ. 23 დადგენილებით „სამხედრო მსახურთა მიერ ქალაქებში ბინის ქირის გადახდის წესის შესახებ“. აღწ. პირნი იმ სახლებში, სადაც ბინის ქირას იღებენ ადვილ. საბჭოს მიერ დაწესებულ განაკვეთის მიხედვით ბინის ქირის გადახდის მხრივ უთანასწორობებიან მუშა-მოსამსახურეთ, ქირის რაოდენობის გამოანგარიშებით ჯამაგირის ძირითადი განაკვეთის მიხედვით. მოკავშირე რესპ. მთავრობებმა სათანადო ცვლილებანი თავიანთ კანონმდებლობებში უნდა შეიტანონ ერთი თვის ვადაში. („იზ.“ № 47, 1929 წ. თებ. 26).

### ზრომა.

თანახმად ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ის 1929 წ. თებ. 20 დადგ. „კულაკურ მეურნეობაში შრომის კანონთა კოდექსის შეფარდების წესის შესახებ“ დაქირაებულ მუშათა (მუშა-ქალების) შრომის პირობები კულაკური ტიპის გლეხურ მეურნეობაში, დამოუკიდებლად დაქირაების ვადისა და ანგარიშის გასწორების სახისა, მოწესრიგდება შრომის კოდექსით იმ გამონაკლისებითა და დამატებებით, რაც გათვალისწინებულია აღწ. დადგენილებაში გლეხურ მეურნეობათა კულაკურად ჩათვლა მოხდება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის წესით საკავშირო ს. კ. ს-ის საერთო დირექტივების საფუძველზე, მასთანვე განსაზღვრულ უნდა იქნეს შემოსავლიანობის ის რაოდენობა, რომლის მიხედვით მეურნეობა შეიძლება ჩითვალოს მეწარმული ტიპის მეურნეობათ, რომელზედაც საკვებით ვრცელდება შრომის კოდექსის მოქმედება. დადგ-ში დაწვრილებით გათვალისწინებულია პირობები ხელშეკრულებათა დადებისა მუშაობის ხანგრძლიობის გადიდებისა განსაზღვრულ პირობებში, კონფლიქტების განხილვისა, ზედამხედველობის, პასუხისმგებლობის წესი და სხვ. („იზ.“ № 44 1920 წ. თებ. 22)

გამოქვ. ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ის 1929 წ. იანვ. 28 დადგ. „პირველი საფენური სასოფლო და საქალაქო სკოლების მასწავლებელი და მომუშავე განათლების სხვა მუშაკთა პენსიით უზრუნველყოფის თაობაზე ს. ს. რ. კავშირის ც. ა. კ. და ს. კ. ს. მიერ 1925 წ. იანვრის 15 თარიღით გამოცემული დადგენილების მე-12 მუხ. რედაქციის შეცვლის შესახებ“, („იზ.“ № 47 1928 წ. თებ. 26.)

### სოციალური დაზღვევა.

ც. ა. კისა და ს. კ. ს-ოს 1929 წ. იანვ. 30 დადგენილებით „სოციალური დაზღვევის სათემის შესატანი ფულის თაობაზე ც. ა. კისა და ს. კ. ს-ოს მიერ 1925 წ. თებ. 26 თარიღით გამოცემული დადგენილების შეცვლისა და შევსების შესახებ“. შეცვლილია მე-2 მუხ. და დამატებულია ახალი 2-მუხ. („იზგ“. № 48, 1929 წ. თებ. 27).

### პროფკავშირები.

გამოქვ. ც. ა. კისა და ს. კ. ს-ოს 1920 წ. იანვ. 23 დადგენილება „პროფესიონალური კავშირების ქონებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“. („იზგ“, № 48, 1929 წ. თებ. 27.).

### მზენაზღოვა.

ს. კ. ს-ოს 1929 წ. იანვ. 17 დადგენილებით „სასკოლო შენობების ასაგებად აღსადგენად და შესაკეთებლად საჭირო სააღმშენებლო მასალისა და გაწყობილობის შედავათიან ფასებში გადატანის შესახებ რკინის გზებში“. აღნიშნ. მასალა და გაწყ. გადაიტანება 25 პროცენტის დაკლებით. („იზგ“. № 49 1920 წ. თებ. 28).

## ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რ. კანონმდებლობა.

### ზომის.

ს. კ. ს-ოს 1929 წ. თებ. 14 დადგენილებით № 103 შემოღებულია სისტემა „საკრედიტო დაწესებულებათა, სოციალური და სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების სპეციალური სახსრების ხარჯთაღრიცხვაზე მყოფ დაწესებულებათა, შემნაწველი საღაროების, სახელმწიფო ტრესტების გამგეობათა ცენტრალური სამმართველო აპარატების მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის სახელმწიფო დანორმებისა“. („ზარ. ვოსტ“. № 42, 1920 წ. თებ. 21).

### საადგილ-მამულო საკითხი.

